



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 291/ი

22 04 2019წ.

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების პროგრამისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის
სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის
მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 19 აპრილის №458716
სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული
„პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის
შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის, ასევე, საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „პროფესიული მომზადების პროგრამისა ან/და პროფესიული გადამზადების
პროგრამის სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის
დადგენის მეთოდოლოგია“ დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული
პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6)
კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე